პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 257 (9725) | პარასკევი, 30 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოვეთ სასურსათო საქონლის წარმოება, დაუცხრომლად აუმჯობესეთ მისი ხარისხი! მეტი ხორცისა და თევზის პროდუქტი, ერბო-კარაქი, შაქარი და სხვა სასურსათო საქონელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასურსათო საქონლის წარმოება. 1953 წელს ძირითადი სასურსათო საქონლის წარმოება სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით 1940 წელთან შედარებით შეადგენს:

| | |
|---|---|
| ხორცი | 162 პროცენტს |
| თევზი (ჭერა) | 172 პროცენტს |
| ძეხვეული | 158 პროცენტს |
| ერბო-კარაქი | თითქმის ერთიორად მეტს |
| ყველი | ერთიორად მეტს |
| მცენარეულის ზეთი | 153 პროცენტს |
| მარგარინი | თითქმის ერთისამად მეტს |
| შაქარი | 168 პროცენტს |
| კონსერვები | 2,5-ჯერ მეტს |
| საკონდიტრო ნაწარმი | 172 პროცენტს |
| მაკარონის ნაწარმი | 2,2-ჯერ მეტს |
| ბურღული | 124 პროცენტს |
| ლუდი | 152 პროცენტს |
| ყურძნის ღვინო | 184 პროცენტს |

1953 წელს სასურსათო საქონლის წარმოება 1950 წელთან შედარებით გადიდდება 41 პროცენტით და მეტით. 1953 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო მრეწველობამ გამოიმუშავა სასურსათო საქონელი 9,7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1952 წლის პირველ ნახევარში. მაგრამ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასურსათო საქონლის: ხორცის, ერბო-კარაქის, რძის პროდუქტების, საკონდიტრო ნაწარმისა და ზოგიერთი სხვა საქონლის წარმოება 1953 წლის პირველ ნახევარში 1952 წლის პირველ ნახევართან შედარებით უმნიშვნელოდ გადიდდა, თევზის ჭერა კი რამდენადმე კიდევაც შემცირდა, რასთან დაკავშირებითაც მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება ამ საქონელზე არ კმაყოფილდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ სასურსათო საქონლის წარმოების მოცულობა და ზრდის ტემპი ამჟამად ვერ უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის უფრო სწრაფი ამაღლების ამოცანის შესრულებას.

მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი, სოფლის მეურნეობის განვითარება და მისი შემდგომი აღმავლობის ღონისძიებანი უზრუნველყოფენ მტკიცე ნედლეული ბაზის შექმნას იმისათვის, რომ მკვეთრად გარდაიქმნას სასურსათო საქონლის წარმოების საქმე მისი გამოშვების გადიდების მხრივ.

გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მკვეთრად გადიდდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, თევზითა და თევზის პროდუქტებით, ერბო-კარაქით, შაქრით, საკონდიტრო ნაწარმით, კონსერვებითა და სხვა პროდუქტებით.

უკანასკნელ წლებში სასურსათო საქონლის ხარისხი გაუმჯობესდა და საქონლის ასორტიმენტი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამასთან ერთად მრეწველობის კვების დარგების მთელი რიგი საწარმოები ჯერ კიდევ უშვებენ ისეთ პროდუქციას, რომელიც თავისი ხარისხით და განსაკუთრებით გემოთი არ შეესაბამება საბჭოთა მომხმარებლის მოთხოვნებს.

ხორცის მრეწველობა მთელი ძროხის ხორცის მესამედზე მეტს მცირე სიმსუქნისას უშვებს. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია დამზადებით მიღებული პირუტყვის მცირე სიმსუქნე. ორგანიზაციები, რომლებსაც ეკისრებათ პირუტყვის გასუქება, არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ გასუქებას და სუსტად იყენებენ ამ მიზნისათვის კვების მრეწველობის ნარჩენებს.

ძვირფასი ჯიშის თევზის დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ იგზავნება უხეში დამარილებისათვის, იმის ნაცვლად, რომ გამომუშავებულ იქნას მაღალხარისხოვანი გაყინული, ოდნავ დამარილებული და შებოლილი თევზის საქონელი. დიდი რაოდენობით დაჭერილი წვრილი თევზი (ქიჭყინა, ქაშაყი, სარდალა და სხვ.) სრულიად არასაკმაოდ არის გამოყენებული გაუმჯობესებული ასორტიმენტის თევზის საქონლის — კონსერვების, პაშტეტების, გაყინული და შებოლილი თევზის საქონლის გამოსამუშავებლად.

პურის საცხობი მრეწველობის საწარმოებში არის შემთხვევები, როცა უშვებენ დიდი ტენიანობის პურს და არ იცავენ ხარისხობრივ ნორმებს და სანიტარიულ მოთხოვნებს.

გამომუშავებულ მარგარინს უმეტეს წილად არა აქვს საკმაოდ კარგი გემო და არომატი.

რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები წარმოების არასაკმაო კულტურისა და სუსტი ტექნიკური ბაზის გამო უშვებენ ისეთ სასურსათო საქონელს, რომელიც, როგორც წესი თავისი ხარისხით ჩამორჩება საკავშირო მრეწველობის პროდუქციას. გამოცდილება საკავშირო მრეწველობის მოწინავე საწარმოებისა, რომლებიც მაღალხარისხოვან სასურსათო საქონელს უშვებენ, სუსტად ინერგება რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში.

მრეწველობის კვების დარგების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლოვანებაა კარგად შეფუთული და გარეგნულად კარგად გაფორმებული დაფასოვებული სასურსათო საქონლის მეტად უმნიშვნელო გამოშვება, რომელზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა.

ამავე დროს დაფასოვებული, მზა და გამზადებული სახის სასურსათო საქონლის წარმოება არა მარტო უწყობს ხელს პროდუქტების ხარისხის შენარჩუნებას, არამედ აგრეთვე შესაძლებლობას იძლევა ოჯახში საჭმლის მომზადებისას თავიდან იქნას აცილებული დიდი გარჯა, აგრეთვე ამაღლებს ვაჭრობის კულტურას და აუმჯობესებს მყიდველთა მომსახურებას.

დაფასოვებული და ლამაზად შეფუთული სასურსათო საქონლის გამოშვების გადიდების დიდი დაბრკოლებაა ის, რომ ხე-ტყის, ქაღალდის, მეტალურგიული და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები ცუდად ამარაგებენ კვების საწარმოებს ტარით, სპეციალური ხარისხის ქაღალდით, პერგამენტით, მუყაოთი, ფოლგითა და ცელოფანით. მიწოდებული ქაღალდისა და მუყაოს ხარისხი მთლიანად როდი შეესაბამება სასურსათო საქონლის მანქანური შეფუთვისა და შეხვევის მოთხოვნებს.

სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო სათანადო ყურადღებას არ აქცევს ტექნიკური ბაზის გაფართოებას, რომ გადიდდეს ხის ტარის, განსაკუთრებით თევზის სალაზე კასრების გამომუშავება, აგრეთვე ტარის ხარისხის გაუმჯობესებასა და ღირებულების შემცირებას, რაც აფერხებს სასურსათო საქონლის წარმოების განვითარებას და დამატებით სიძნელეებს ქმნის მის შენახვასა და ტრანსპორტირებაში.

კვების მრეწველობის მიერ გამომუშავებული სასურსათო საქონლის ხარისხი ხშირად უარესდება გადაზიდვის დროს, რადგან არ კმარა სპეციალიზებული სარკინიგზო, საავტომობილო და სანაოსნო ტრანსპორტი, განსაკუთრებით რეფრიჟერატორული.

სუსტად არის გაშლილი თანამედროვე მოწყობილობის წარმოება, რომ ტექნიკურად აღიჭურვოს სასურსათო საქონლის მრეწველობა.

არ კმარა მთელი რიგი სასურსათო საქონლის საწარმოებლად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი სიმძლავრენი, განსაკუთრებით პირუტყვის გადასამუშავებელი ჩრდილოეთ კავკასიის, დონბასისა და ურალის რაიონებში, რძის გადასამუშავებელი — უკრაინის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფსრ მთელ რიგ ცენტრალურ ოლქებში, შაქრის ჭარხლის გადასამუშავებელი — მოლდავეთის სს რესპუბლიკასა და უკრაინის სსრ დასავლეთ ოლქებში, ბამბის თესლის გადასამუშავებელი — შუა აზიის რაიონებში და სოიისა — შორეულ აღმოსავლეთში, რაც იწვევს ბამბის თესლისა და სოიის არარაციონალურ შორ გადაზიდვას.

კვების საწარმოთა მშენებლობა, უმთავრესად საკონდიტრო ნაწარმის, მაკარონისა და ძეხვეულის, ლუდისა და ხილის წყლების საწარმოთა მშენებლობა ურალში, შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირსა და შუა აზიაში ჩამორჩება ამ რაიონების სამრეწველო ცენტრების ზრდას.

კვების საწარმოთა კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში სერიოზულ ორგანიზაციულ ნაკლოვანებებთან ერთად ამ მშენებლობის ჩამორჩენაზე გავლენას ახდენს ის, რომ მშენებლობები სრულად არ არის უზრუნველყოფილი საშენი მასალებით და დაბალია სამშენებლო სამუშაოების მექანიზაციის დონე. კვების საწარმოთა მშენებლობაზე ნაკლებად იგზავნებიან ინჟინრები და ტექნიკოსები, რომელთაც სასწავლებლები დამთავრებული აქვთ სამშენებლო სპეციალობის მიხედვით.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომელთაც სამშენებლო ორგანიზაციები აქვთ იმ რაიონებში, სადაც საჭიროა კვების მცირე საწარმოთა (პურის საცხობი, პურის ქარხანა, სარძეო, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების საწარმო და სხვ.) მშენებლობა, არ კისრულობენ ამ საწარმოთა მშენებლობის სამუშაოთა შესრულებას, რაც იწვევს ზედმეტ წვრილ პარალელურ სამშენებლო ორგანიზაციათა შექმნას, გაუმართლებელ ხარჯებს და მშენებლობის ვადების გახანგრძლივებას.

სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაცია და ადგილობრივი მრეწველობა მეტად სუსტად ავითარებენ სასურსათო საქონლის წარმოებას იმ რაიონებში, სადაც სახელმწიფო კვების მრეწველობა საკმაოდ არ არის განვითარებული, რის შედეგადაც ეს საქონელი სხვა რაიონებიდან შეაქვთ, მაშინ როცა იგი შეიძლება ადგილობრივ დამზადდეს ნაკლები ხარჯის გაწევითა და შორიდან გადაუზიდავად.

თუმცა დიდი შესაძლებლობაა იმისა, რომ სასურსათო საქონელი აწარმოონ ადგილობრივი ნედლეულის — გარეული ხილის, კენკრის, სოკოს, აგრეთვე ბოსტნეულისა და სხვა ნედლეულის გადამუშავების გზით, მაგრამ სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაცია და რაიონული მრეწველობა ნაკლებად აფართოებენ ადგილობრივი ნედლეულით სასურსათო საქონლის გამომმუშავებელ მოქმედ საწარმოებს და საკმაოდ არ ქმნიან ახალ საწარმოებს.

საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის კვების საწარმოთა განვითარებას.

მრეწველობის კვების დარგების მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლოვანება ის არის, რომ სათანადო ბრძოლა არ წარმოებს ნედლეულისა და მზა პროდუქციის დანაკარგის შემცირებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, რომელიც სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების შემდგომი შემცირების მთავარი წყაროა.

სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოების, მისი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების საქმეში მკვეთრი გარდატეხის განსახორციელებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

## I

## სასურსათო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ

1. მკვეთრად გადიდდეს 1954-1956 წლებში სასურსათო საქონლის წარმოება, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, ასორტიმენტი, დაფასოვება და შეფუთვა და მნიშვნელოვნად უფრო ადრე შესრულდეს ხუთწლიანი გეგმით 1955 წლისათვის დაწესებული სასურსათო საქონლის წარმოების დავალება. ამ მიზნით განისაზღვროს უმთავრეს სახეობათა სასურსათო საქონლის წარმოების შემდეგი ზრდა:

### ხორცი და ხორცის პროდუქტები

2. მნიშვნელოვნად გადიდდეს ხორცის, ძეხვეულის, ხორცის კონსერვის, კატლეტისა და სხვა ხორცის პროდუქტების წარმოება და მათი წარმოება აყვანილ იქნას შემდეგ ოდენობამდე:

| | ზომის ერთეული | 1954 წელი | 1955 წელი | 1954 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით | 1955 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|---|
| ხორცი | ათას ტონობით | 2.180 | 2.550 | 174 | ერთიორად |
| აქედან ფრინველის ხორცი | „ | 75 | 105 | 2,5-ჯერ | 3,5-ჯერ |
| ძეხვეული | „ | 710 | 850 | 147 | 176 |
| აქედან წვრილი ძეხვი და სარდელი | „ | 90 | 135 | 2,1-ჯერ | 3,1-ჯერ |
| ხორცის კონსერვი | მილიონობით ქილა | 380 | 480 | 147 | 186 |
| კატლეტი | მილიონობით ცალი | 1.300 | 1.600 | 4,9-ჯერ | 6-ჯერ |
| ხორცის ნახევარფაბრიკატი | მილიონობით პორცია | 110 | 165 | 3,8-ჯერ | 5,7-ჯერ |
| ხინკალი | ათას ტონობით | 50 | 70 | 6-ჯერ | 8,7-ჯერ |
| დაფასოვებული ხორცი | „ | 30 | 70 | 26-ჯერ | რამდენიმე ათეულჯერ |

სახელმწიფო მრეწველობის მიერ ხორცის წარმოება აყვანილ იქნას 1956 წელს დაახლოებით 3 მილიონ ტონამდე ანუ გადიდდეს 2,4-ჯერ 1950 წელთან შედარებით, ძეხვეულის წარმოება — 1 მილიონ ტონამდე ანუ გადიდდეს 2,2-ჯერ 1950 წელთან შედარებით, ხოლო ფრინველის ხორცის წარმოება შესაბამისად 4,7-ჯერ.

3. უზრუნველყოფილ იქნას გამომუშავების გადიდება 1953 წელთან შედარებით:

დაფასოვებული ხორცისა 1954 წელს 4-ჯერ, 1955 წელს 9-ჯერ;

წვრილი ძეხვისა და სარდელისა 1954 წელს 1,5-ჯერ, 1955 წელს 2-ჯერ და უფრო მეტად;

ხორცის კონსერვებისა 1954 წელს 1,4-ჯერ და 1955 წელს 1,8-ჯერ, მათ შორის დელიკატესი კონსერვებისა 1954 წელს 1,4-ჯერ და 1955 წელს 2-ჯერ;

ხორცის ნახევარფაბრიკატებისა 1954 წელს 2-ჯერ და 1955 წელს 3-ჯერ;

ხინკლისა 1954 წელს 1,5-ჯერ და 1955 წელს 2-ჯერ. ხორცის კატლეტისა 1954 წელს 40 პროცენტით და 1955 წელს 80 პროცენტით.

4. უზრუნველყოფილ იქნას სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ჩაბარება, გასუქების გადიდებით, პირუტყვის გაზრდის უკეთესი ორგანიზაციით, აგრეთვე პირუტყვის ტრანსპორტირებისა და გარეკვის გაუმჯობესებით, მსუქანი, საშუალოზე მაღალი და საშუალო სიმსუქნის ძროხის ხორცისა 1954 წელს საბაზრო ფონდების სულ ცოტა 57 პროცენტით და 1955 წელს — 65 პროცენტით; მსუქანი, საშუალოზე მაღალი და საშუალო სიმსუქნის ცხვრის ხორცისა 1954 წელს სულ ცოტა 80 პროცენტით, 1955 წელს — 85 პროცენტით.

5. ფართოდ განვითარდეს პაშტეტის, ენის, დაკეპილი ხორცის, ქათმის, ღორისა და სხვა დელიკატესი ხორცის კონსერვების წარმოება.

6. საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1954-1956 წლებში ხორცის გადამმუშავებელი 144 საწარმო.

ამაღლდეს პირუტყვის გადამუშავების, ცხიმეულის გამოდნობისა და სუბპროდუქტების დამუშავების პროცესების მექანიზაციის დონე 1953 წლის 50 პროცენტიდან 55 პროცენტამდე 1954 წელს, 65 პროცენტამდე 1955 წელს და 75 პროცენტამდე 1956 წელს.

განხორციელდეს ძეხვეულის, წვრილი ძეხვის, სარდელის, ხორცის კონსერვების, დაფასოვებული ხორცის, ხორცის ნახევარფაბრიკატების, კატლეტისა და ხინკლის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრული მექანიზაცია ავტომატებისა და კონვეიერული ხაზების ფართოდ დანერგვით.

სანიმუშო სანიტარიულ წესრიგზე იქნას მოყვანილი ხორცკომბინატები, ფრინველკომბინატები, სასაკლაო პუნქტები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პირუტყვისა და ფრინველის დაკვლისწინა მოვლა-შენახვა, არ იქნას დაშვებული დანაკარგები მათი ზედმეტად გაჩერებისა და გადაზიდვის დროს.

7. გადიდდეს 1956 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ახალი საწარმოების მშენებლობის და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვის გზით სიმძლავრეები ხორცის წარმოებისა—1,5-ჯერ, ფრინველის ხორცისა — 2,7-ჯერ, ძეხვეულისა — 1,7-ჯერ, ხორცის კონსერვებისა — 1,6-ჯერ, კატლეტისა — 7-ჯერ, ხინკლისა — 5-ჯერ, გადამდნარი ცხიმეულისა — 1,7-ჯერ.

### თევზი და თევზპროდუქტები

8. მკვეთრად გადიდდეს თევზისა და ზღვის ნადირის ჭერა და აყვანილ იქნას ჭერა შემდეგ ოდენობამდე:

(მილიონ ცენტნერობით)

| | 1954 წელი | 1955 წელი | 1954 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით | 1955 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| თევზი და ზღვის ნადირი — სულ | 27,15 | 31,9 | 156 | 183 |
| აქედან: | | | | |
| ქაშაყი | 5,2 | 6,7 | 2,1-ჯერ | 2,8-ჯერ |
| ორაგული და სიგი | 1,83 | 2,5 | 139 | 189 |
| ვირთევზა და სვია | 6,38 | 7,6 | 2-ჯერ | 2,4-ჯერ |
| ქიჭყინა და ქაშაყი | 2,15 | 2,51 | 2,8-ჯერ | 3,3-ჯერ |

დაწესდეს თევზის ჭერის დავალება 1956 წლისათვის დაახლოებით 36 მილიონი ცენტნერის რაოდენობით ანუ 2,1-ჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს, აქედან ქაშაყისა 7,8 მილიონი ცენტნერის რაოდენობით ანუ 3,2-ჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს.

9. აყვანილ იქნას 1955 წელს თევზის სასაქონლო პროდუქციის გამოშვება სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით 2.010 ათას ტონამდე და უზრუნველყოფილ იქნას გაუმჯობესებული ასორტიმენტის თევზის პროდუქტების გამოშვება წლების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

(ათას ტონობით)

| | 1954 წელი | 1955 წელი | 1954 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით | 1955 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| ახალგაყინული თევზი | 470 | 650 | 168 | 2,3-ჯერ |
| დამარილებული ქაშაყი | 390 | 430 | 2,2-ჯერ | 2,7-ჯერ |
| შებოლილი, გახმობილი თევზეული და ზურგიელი | 70 | 80 | 156 | 178 |
| თევზის კონსერვები (მილიონობით ქილა) | 520 | 600 | 2,6-ჯერ | 3-ჯერ |

გადიდდეს შავი და წითელი ხიზილალის წარმოება, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი; უზრუნველყოფილ იქნას წვრილ-წვრილად დაფასოვებული ხიზილალის გამოშვება ბაზრისათვის საჭირო რაოდენობით. განსაკუთრებით მიექცეს ყურადღება დელიკატესი კონსერვების, კერძოდ შპროტებისა და სარდინების წარმოების გადიდებას.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს წვრილი თევზის — ქიჭყინას, ქაშიყის, სარდალას, ქაშაყის დამუშავება და უზრუნველყოფილ იქნას ამ ჯიშების თევზისაგან კონსერვების, პაშტეტების, გაყინული და შებოლილი თევზეულის გამომუშავების მაქსიმალური გადიდება. ამ მიზნით ფართოდ გაჩაღდეს პატარა საკონსერვო ქარხნების, მაცივრებისა და შესაბოლი საამქროების მშენებლობა აზოვის, შავი, კასპიისა და ბალტიის ზღვების სანაპიროებზე.

10. რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, ყაზახეთის სსრ და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ და განახორციელონ თევზის ჭერის, გაყინული, შებოლილი, გახმობილი თევზეულის, ზურგიელისა და თევზის კონსერვების გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდების ღონისძიებანი.

11. გაშლილ ზღვაში თევზის ჭერის გადიდებისა და უშუალოდ დაჭერის ადგილას თევზის დროზე მიღებისა და დამუშავების მიზნით 1954-1956 წლებში მნიშვნელოვნად შეივსოს სარეწაო, მიმღებ-სატრანსპორტო, რეფრიჟერატორული და მომსახურე ფლოტი; მკვეთრად გადიდდეს გემთშემკეთებელ საწარმოთა სიმძლავრენი და გემის ძრავების სათადარიგო ნაწილებისა და შესაცვლელი დეტალების გამოშვება.

12. თევზის ჭერის მექანიზაციის დონე 1956 წელს აყვანილ იქნას 80 პროცენტამდე ნაცვლად 1953 წლის 67 პროცენტისა და მექანიზებული ხაზების მოწყობის გზით უზრუნველყოფილ იქნას თევზის დამუშავების, კონსერვის წარმოების, თევზის გამოყვანის, დამარილებისა და ტარაში ჩალაგების, აგრეთვე მაცივრებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, კერძოდ 1956 წელს გემებიდან თევზის გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე აყვანილ იქნას 85 პროცენტამდე ნაცვლად 1953 წლის 73 პროცენტისა, თევზის გამოყვანის სამუშაოებისა — 60 პროცენტამდე ნაცვლად 1953 წლის 20 პროცენტისა, წვრილი თევზის როფსა და კასრში დამარილებისა — 70 პროცენტამდე ნაცვლად 1953 წლის 50 პროცენტისა.

13. გაუმჯობესდეს კონსერვის ქარხნების, მაცივრების, თევზგადამმუშავებელი, საკასრე, გემთმშენებელი და გემთშემკეთებელი საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება. 1956 წლის დამლევისათვის გადიდდეს:

თევზის კონსერვის საწარმოთა სიმძლავრე 1,7-ჯერ 1953 წელთან შედარებით;

სანაპირო მაცივართა ტევადობა ერთიორად და სანაპირო მაცივრებში თევზის საყინავთა წარმადობა 2,7-ჯერ 1953 წელთან შედარებით.

აზოვის, შავი, კასპიისა და ბალტიის ზღვების სანაპიროებზე პატარა მაცივრების მშენებლობის დასაჩქარებლად დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს დაამზადოს და მიაწოდოს 1954-1956 წლებში თევზის მრეწველობას ასაწყობი მაცივრების 100 შენობა თვითეული 120 ტონის ტევადობით, აქედან 1954 წელს — 25 ასეთი მაცივრის შენობა.

14. ძვირფასი ჯიშების თევზის (თართი, ორაგული, ფარგა, კობრი, კაპარჭინა და სხვა) მარაგის აღდგენისა და ამ ჯიშების თევზის ჭერის შემდგომი გადიდების მიზნით განხორციელდეს 1954-1956 წლებში დიდი სამუშაოები თევზის სამრეწველო მოშენებისათვის, რისთვისაც აშენდეს მდინარე ვოლგაზე, მტკვარზე, დონზე, დნესტრზე, დნეპრზე, ყუბანზე, ამურზე, აგრეთვე კამჩატკის, ბალტიისპირეთისა და ციმბირის მდინარეებზე და დიდ წყალსაცავებში 39 თევზსაშენი, ქვირითსაყრელი და გასასუქებელი მეურნეობა. აშენდეს ახალი და გაფართოვდეს მოქმედი სახელმწიფო საგუბურო თევზსაშენი სასელექციო-საჯიშე და კალმახის მეურნეობანი 15 ათას ჰექტარ ფართობზე.

15. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და საბჭოთა მეურნეობების გუბურებსა და წყალსატევებში თევზის მოშენების ფართოდ განვითარების ღონისძიებანი.

### ერბო-კარაქი, ყველი, შესქელებული რძე და სხვა რძის პროდუქტები

16. აყვანილ იქნას 1954-1956 წლებში ერბო-კარაქის, ყველის, რძის კონსერვებისა და სხვა რძის პროდუქტების წარმოება სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით შემდეგ ოდენობამდე:

(ათას ტონობით)

| | 1954 წელი | 1955 წელი | 1954 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით | 1955 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| ერბო-კარაქი | 476 | 560 | 149 | 176 |
| ყველი | 97 | 135 | 2-ჯერ | 2,8-ჯერ |
| აქედან გადამდნარი | 37 | 50 | 3-ჯერ | 4,1-ჯერ |
| შესქელებული რძე (მილიონობით ქილა) | 220 | 275 | 2,7-ჯერ | 3,4-ჯერ |
| მშრალი რძე | 30 | 38 | 3,2-ჯერ | 4-ჯერ |
| მოუხდელი რძის პროდუქცია | 2300 | 2750 | 2-ჯერ | 2,4-ჯერ |

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ

აყვანილ იქნას 1956 წელს ერბო-კარაქის წარმოება დაახლოებით 650 ათას ტონამდე, ანუ გადიდდეს ერთიორად 1950 წელთან შედარებით, და ყველისა 160 ათას ტონამდე, ანუ გადიდდეს 3,3-ჯერ 1950 წელთან შედარებით.

17. უზრუნველყოფილ იქნას 1954-1955 წლებში 1953 წელთან შედარებით გამომუშავების გადიდება:

უმარილო კარაქისა 1954 წელს 30 პროცენტით და 1955 წელს 50 პროცენტით: განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კარაქის ხარისხის გაუმჯობესებას და სორტობის გადიდებას;

დაფასოებული კარაქისა 1954 წელს ერთიორად და 1955 წელს 2,5-ჯერ;

დაფასოებული რძისა, კეფირისა და სხვა რძის პროდუქტებისა — 1954 წელს 1,3-ჯერ და 1955 წელს ერთიორად.

წვრილ-წვრილად დაფასოებული შესქელებული რძისა 1954 წელს 1,5-ჯერ და 1955 წელს ერთიორად; მნიშვნელოვნად გადიდდეს კაკაოიანი და ყავიანი შესქელებული რძის წარმოება და განვითარდეს სტერილიზებული შესქელებული რძის წარმოება.

18. გადიდდეს 1956 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვის გზით სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით სიმძლავრენი კარაქის წარმოებისა 1,5-ჯერ, ყველისა — 2,5-ჯერ, აქედან გადამდნარი ყველისა — 7-ჯერ, შესქელებული რძისა 3,4-ჯერ, მშრალი რძისა — 3-ჯერ, მოუხდელი რძის პროდუქციისა — 1,7-ჯერ.

19. განხორციელდეს ფართო მასშტაბით ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნების მექანიზაცია, ამასთან 1954-1956 წლების განმავლობაში დამთავრდეს ამ ქარხნების სრული მექანიზაცია ერბო-კარაქისა და ყველის მწარმოებელ ძირითად რაიონებში.

20. აშენდეს და ამუშავდეს 1954-1956 წლებში 720 ერბო-კარაქის, ყველის ქარხანა და რძის პირველადი გადამუშავების ქარხანა, 100 საქალაქო რძის ქარხანა, 16 რძის კონსერვის ქარხანა, 80 მაცივრებიანი ბაზა, კარაქის, ყველისა და სხვა რძის პროდუქტების მისაღებად და შესანახავად.

21. რძისა და რძის პროდუქტების ხარისხის შენარჩუნების და მოსახლეობის მოსამარაგებლად ქალაქებში მათი უსწრაფესი მიწოდების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს რძისა და რძის პროდუქტების გადასაზიდავად სპეციალიზებული საავტომობილო, სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტის გამოყენება.

## მცენარეული ზეთი და საპონი

22. 1954-1955 წლებში აყვანილ იქნას მცენარეული ზეთისა და საპნის წარმოება სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით შემდეგ ოდენობამდე:

(ათას ტონობით)

| | 1954 წელი | 1955 წელი | 1954 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით | 1955 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| მცენარეული ზეთი | 1.300 | 1.500 | 167 | 192 |
| საპონი 40 პროცენტიანზე გადაყვანით | 1.000 | 1.200 | 125 | 150 |

აყვანილ იქნას 1956 წელს მცენარეული ზეთის წარმოება დაახლოებით 1.650 ათას ტონამდე, ანუ გადიდდეს 2,1-ჯერ 1950 წელთან შედარებით.

23. მკვეთრად გადიდდეს 1953 წელთან შედარებით დაფასოებული მცენარეული ზეთის გამოშვება, სახელდობრ: 1954 წელს 5-ჯერ და 1955 წელს — 10-ჯერ.

[illegible]

## მარგარინი

[illegible]

(ათას ტონობით)

| | 1954 წელი | 1955 წელი | 1954 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით | 1955 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| მარგარინისა | 390 | 450 | 2-ჯერ | 2,3-ჯერ |
| აქედან: | | | | |
| სუფრის მარგარინისა | 211 | 250 | 2,9-ჯერ | 3,4-ჯერ |
| საკონდიტრო მარგარინისა | 179 | 200 | 150 | 167 |

[illegible]

## შაქარი

36. გადიდდეს ფხვნილი შაქრისა და რაფინადი შაქრის წარმოება და დაფასოება შემდეგ ოდენობამდე:

(ათას ტონობით)

| | 1954 წელი | 1955 წელი | 1954 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით | 1955 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| ფხვნილი შაქარი | 4.300 | 4.800 | 170 | 190 |
| რაფინადი შაქარი | 1.350 | 1.550 | 193 | 2,2-ჯერ |
| აქედან დაფასოებული: | | | | |
| ნაკუწებად | 150 | 275 | 4,3-ჯერ | 7,8-ჯერ |
| წვრილ პაკეტებად (რაფინადისა) | 3,5 | 5 | 11,3-ჯერ | 16-ჯერ |

[illegible] ანუ გადიდდეს 2,6-ჯერ 1950 წელთან შედარებით.

ვაჭრობის კულტურის ამაღლების მიზნით მოეწყოს მსხვილი სამრეწველო ცენტრების ახლო მდებარე შაქრის ქარხნებში ფხვნილი შაქრის, წვრილნატეხი რაფინადისა და შაქრის პუდრის ნაკრაულებად დაფასოება და 1954 წელს გამოშვებულ იქნას 50 ათასი ტონა და 1955 წელს 100 ათასი ტონა.

37. უზრუნველყოფილ იქნას სიმძლავრეების ზრდა 1956 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით ფხვნილი შაქრის წარმოების ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვის გზით დაახლოებით 1,4-ჯერ და რაფინადი შაქრის წარმოებისა — 2,2-ჯერ.

38. შაქრის ჭარხლის დროზე გადა- [illegible] და მოლდავეთის სს რესპუბლიკაში, სადაც საკმარისი არ არის შაქრის ჭარხლის გადამამუშავებელი სიმძლავრეები; — რაფინადი შაქრის 9 ქარხანა და საამქრო;

შაქრის შესანახი საწყობები 1100 ათასი ტონა საერთო ტევადობისა, აქედან 1954 წელს 300 ათასი ტონა ტევადობისა.

## საკონდიტრო ნაწარმი და ჩაი

39. აყვანილ იქნას საკონდიტრო ნაწარმის გამომუშავება 1954 წელს 1579 ათას ტონამდე და 1955 წელს 1825 ათას ტონამდე ნაცვლად 1950 წლის 994 ათასი ტონისა და 1953 წლის 1387 ათასი ტონისა, აქედან სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით შემდეგ ოდენობამდე:

(ათას ტონობით)

| | 1954 წელი | 1955 წელი | 1954 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით | 1955 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| კარამელი | 526 | 591 | 124 | 140 |
| რბილი კანფეტი | 175 | 195 | 184 | 2-ჯერ |
| შოკოლადი და შოკოლადის ნაწარმი | 12 | 20 | 2,3-ჯერ | 3,8-ჯერ |
| ირისი | 44 | 60 | 4,2-ჯერ | 5,8-ჯერ |
| მარმელადი, პასტილა და ზეფირი | 26 | 36 | 2-ჯერ | 2,8-ჯერ |
| ხალვა | 43 | 48 | 2,9-ჯერ | 3,3-ჯერ |
| ნამცხვარი | 340 | 420 | 2,4-ჯერ | 2,9-ჯერ |
| ტორტი, შაქარლამა და კექსი | 21 | 30 | 3,1-ჯერ | 4,4-ჯერ |

40. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს იმ საკონდიტრო ნაწარმის ხარისხი და ასორტიმენტი, რომელსაც მოსახლეობა უფრო მეტად მოითხოვს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით გადიდდეს 1954-1955 წლებში 1953 წელთან შედარებით:

ა) შეხვეული და დაფასოებული საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება 1954 წელს 1,2-ჯერ და 1955 წელს 1,5-ჯერ;

ბ) კოლოფებად დაფასოებული გაუმჯობესებული სორტების საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება 1954 წელს 1,5-ჯერ და 1955 წელს ერთიორად;

გ) თუნუქის ქილებად და კოლოფებად დაფასოებული საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება 1954 წელს 1,7-ჯერ და 1955 წელს 3,3-ჯერ;

დ) კარამელისა და ნიგვზის გულიანი კანფეტის („კიბოს კისრის", „ბატის ფეხის" ტიპის), ხილის, რძის („ოქროს გასაღების" ირისის ტიპის), ლიქიორის, თაფლის, კრემისა და გამაგრილებელი გულიანის, აგრეთვე შაქარყინულის კარამელის („სათეატრო გამჭვირვალის" ტიპისა), კანფეტის („დათუნიას" და „გედის" ტიპისა), პასტილის, ზეფირის, წვრილად და მსხვილად დაფასოებული ფიგურიანი შოკოლადის, მხატვრულად გაფორმებული საბავშვო შოკოლადის ასორტიმენტი და გამოშვება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შოკოლადის, კარამელის, ნამცხვარის, თაფლის პურისა და მარმელადის დამუშავების ხარისხს.

41. დაევალოს სარეწაო კოოპერაციის ცენტრალურ საბჭოს, უზრუნველყოს 1954 წელს შეხვეული კარამელისა და კანფეტის გამოშვება საერთო გამომუშავების 70 პროცენტის ოდენობით და ნაკრაულებად შეფუთული ნამცხვარისა — 50 პროცენტის ოდენობით.

აყვანილ იქნას უმაღლესი ხარისხის ფქვილისაგან თაფლის პურისა და ნამცხვარის გამოშვება 80 პროცენტამდე, ამასთან გადიდდეს ტულის, ვიაზმის, ვანილიანი და პიტნიანი თაფლის პურისა და აღმოსავლური ტკბილეულის გამოშვება.

გაფართოვდეს საკონდიტრო ნაწარმის ასორტიმენტი და უზრუნველყოფილ იქნას მისი გამომუშავება საკონდიტრო მრეწველობის სახელმწიფო საწარმოებისათვის დაწესებული რეცეპტურებისა და სახელმწიფო სტანდარტების ზუსტი შესაბამისობით.

42. დამთავრდეს 1956 წელს კარამელის, ირისისა და ნამცხვარის წარმოების ძირითად ტექნოლოგიურ პროცესთა მექანიზაცია.

აყვანილ იქნას მექანიზებული წესით შეხვეული და დაფასოებული საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება 1954 წელს შეხვეული და დაფასოებული პროდუქციის საერთო გამოშვების 70 პროცენტამდე, 1955 წელს 75 პროცენტამდე და 1956 წელს 85 პროცენტამდე ნაცვლად 1953 წლის 60 პროცენტისა.

43. გადიდდეს 1956 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით საკონდიტრო საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეები ახალი საკონდიტრო ფაბრიკების მშენებლობის გზით, უმთავრესად ურალის, ციმბირის, ვოლგისპირეთის, შუა აზიისა და ყაზახეთის რაიონებში, აგრეთვე მოქმედი საკონდიტრო ფაბრიკების რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოებისა 1,9-ჯერ და ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოებისა — 2,1-ჯერ.

44. მნიშვნელოვნად გადიდდეს ნაყინის გამომუშავება, რომელიც კვების სახალხო პროდუქტი გახდა, მისი გამომუშავება სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ხაზით აყვანილ იქნას 1954 წელს 190 ათას ტონამდე და 1955 წელს 240 ათას ტონამდე ნაცვლად 1953 წლის 160 ათასი ტონისა, ანუ გადიდდეს 2,5-ჯერ 1950 წელთან შედარებით.

მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაყინის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, და სანიმუშო სანიტარიულ წესრიგზე იქნას მოყვანილი ნაყინის გამომმუშავებელი საწარმოები. ფართოდ განვითარდეს დაფასოებული და მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებული ნაყინის წარმოება.

გადიდდეს ნაყინის წარმოების სიმძლავრეები 1956 წლის დამლევისათვის სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ხაზით 1,6-ჯერ 1953 წელთან შედარებით.

45. იმის გამო, რომ მოსახლეობის მოთხოვნა მწვანე ბაიხა და შავი ფილის ჩაიზე საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი, დაევალოს სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს განახორციელოს იმ სორტების ჩაის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების ღონისძიებანი.

46. ჩაის ხარისხის, არომატის, ასორტიმენტისა და დაფასოების გაუმჯობესების მიზნით:

ა) გადიდდეს 1953 წელთან შედარებით 25 გრამად დაფასოებული შავი ბაიხა ჩაის გამოშვება 1954 წელს 1,3-ჯერ და 1955 წელს ერთიორად.

ბ) გადიდდეს 1953 წელთან შედარებით მუყაოთი შეფუთული შავი ბაიხა ჩაის გამოშვება 1954 წელს 2,8-ჯერ და 1955 წელს 4-ჯერ.

გ) გადიდდეს 1953 წელთან შედარებით თუნუქისა და მინის საჩაიეებით შავი ბაიხას ჩაის გამოშვება 1954 წელს 2,5-ჯერ და 1955 წელს 5-ჯერ.

დ) აყვანილ იქნას ფოლგაჩადებულ ნაკრაულებად შავი ბაიხა ჩაის დაფასოება 1954 წელს ამ სახეობის ჩაის მთელი გამოშვების 55 პროცენტამდე და 1955 წელს 100 პროცენტამდე.

47. აყვანილ იქნას შავი ბაიხა ჩაის დაფასოების მექანიზაცია 1954 წელს მთელი გამომუშავებული ბაიხა ჩაის რაოდენობის 86 პროცენტამდე, 1955 წელს 90 პროცენტამდე და 1956 წელს 95 პროცენტამდე.

განხორციელდეს ჩაის ფოთლის გადამუშავების შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

48. გადიდდეს 1956 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით ჩაის მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეები ჩაის მწვანე ფოთლის პირველადი დამუშავების ახალი საწარმოების მშენებლობისა და მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვის გზით 2,1-ჯერ, ჩაის აწონისა — 1,9-ჯერ და ჩაის წნეხვისა — 1,8-ჯერ;

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 29 ოქტომბრის სხდომის შესახებ

29 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. დ. გიორგაძემ.**

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევა.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის და თელავის, ხაშურის, ზესტაფონის, ახალციხისა და ბოლნისის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის დავალებით დეპუტატ **დ. ზ. რომელაშვილს** შეაქვს წინადადება — განთავისუფლდეს დეპუტატი **ვ. გ. ცხოვრებაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი **მ. დ. ჩუბინიძე.**

სესია იღებს ორივე ამ წინადადებას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევს დეპუტატ **მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძეს.**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ **მ. ა. მეგრელიშვილს.** აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის და ზუგდიდის, ზესტაფონისა და ჩოხატაურის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის დავალებით მას შეაქვს წინადადება — განთავისუფლდეს დეპუტატი **მ. კ. დელბა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დეპუტატი **ა. მ. ჭოჭუა.**

სესია იღებს ორივე ამ წინადადებას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ერთხმად ირჩევს დეპუტატ **ანდრია მაქსიმეს-ძე ჭოჭუას.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **თ. ნ. ქვლივიძემ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. **ვ. მ. ბაქრაძის** განთავისუფლებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილის** დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს: „საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ", „საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ", „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ", „საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ", „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის გაუქმების შესახებ", „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობიდან ამხ. **მ. ი. ბარამიას** განთავისუფლების შესახებ", „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად ამხ. **მ. პ. გიორგაძის** დანიშვნის შესახებ", „საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან ამხ. **ვ. ი. ჭიაურელის** განთავისუფლების შესახებ", „საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად ამხ. **ა. ლ. გუნიას** დანიშვნის შესახებ", „საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობიდან ამხ. **რ. კ. წულუკიძის** განთავისუფლების შესახებ", „საქართველოს სსრ განათლების მინისტრად ამხ. **გ. ნ. ჯიბლაძის** დანიშვნის შესახებ", „საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად ამხ. **ზ. ნ. კეცხოველის** დანიშვნის შესახებ", „საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად ამხ. **გ. ა. რობაქიძის** დანიშვნის შესახებ", „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრად ამხ. **თ. ნ. დავითაშვილის** დანიშვნის შესახებ", „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის ამხ. **მ. პ. გიორგაძის** დანიშვნის შესახებ", „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. **კ. ს. ციმაკურიძის** დანიშვნის შესახებ", „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად ამხ. **გ. ა. ალავიძის** დანიშვნის შესახებ".

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს, საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის, საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ სათანადო ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე, 55-ე და 56-ე მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 173 სახალხო მსაჯული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ ამით დაამთავრა მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

## ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## ამხ. მ. დ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## ამხ. მ. კ. დელბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ კონსტანტინეს-ძე დელბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## ამხ. ა. მ. ჭოჭუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ანდრია მაქსიმეს-ძე ჭოჭუა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ვ. მ. ბაქრაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულება, რომლითაც ამხ. ვ. მ. ბაქრაძე განთავისუფლებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულება, რომლითაც ამხ. გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

### „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის გაუქმების შესახებ“.

ამ ბრძანებულების შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 20 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 20.** აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი ამხ. მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

ამ ბრძანებულებათა შესაბამისად საჭიროა შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50, 55 და 56 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 50.** საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;
საქართველოს სსრ მინისტრები;
ადგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
კულტურისა;
საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილებისა;
საბჭოთა მეურნეობებისა;
საგარეო საქმეთა;
სასურსათო საქონლის მრეწველობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე“.

„**მუხლი 55.** საქართველოს სს რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კულტურისა;
საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილებისა;
საბჭოთა მეურნეობებისა;
საგარეო საქმეთა;
სასურსათო საქონლის მრეწველობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;
ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა“.

„**მუხლი 56.** საქართველოს სს რესპუბლიკის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ადგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## საქართველოს სსრ მინისტრების განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც განთავისუფლებული არიან:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობისაგან — ბარამია მიხეილ ივანეს-ძე;

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან — ჭიაურელი ვლადიმერ ივანეს-ძე;

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან — წულუკიძე როსტომ კონსტანტინეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად — თოფურიძე მიხეილ ესტატეს-ძე;

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად — გიორგაძე მიხეილ პორფილეს-ძე;

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად — გუნია ავთანდილ ლევანის-ძე;

საქართველოს სსრ განათლების მინისტრად — ჯიბლაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად — კეცხოველი ზაქარია ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად — რობაქიძე გიორგი აბესალომის-ძე;

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრად — დავითაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად — ალავიძე გიორგი არტემის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ა დ გ ე ნ ს:**

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულებად:

1. აბაშიძე ანტონ კონსტანტინეს-ძე
2. აბრამაშვილი ისაკ მარკოზის-ძე
3. აბუსერიძე ლუბა იოსების ასული
4. აბშილავა ჟუჟუნა იოსების ასული
5. ავლოხაშვილი დავით დავითის-ძე
6. აზარაშვილი ქსენია ალექსანდრეს ასული
7. აზნაუროვა ეკატერინე ნიკოლოზის ასული
8. აივაზაშვილი ოსანა ნიკოლოზის ასული
9. ანდრესიანი გევორქ არუთინის-ძე
10. ანთელავა პარმენ ბესარიონის-ძე
11. არახამია ისაკ გვადას-ძე
12. არველაძე დავით სოლომონის-ძე
13. არუთინოვა რუზანა სერგის ასული
14. ასლამაზიშვილი ნინო მიხეილის ასული
15. ასლანოვა არაქსი არუთინის ასული
16. აფციაური გიორგი ვასილის-ძე
17. ახალაია დავით სამსონის-ძე
18. ახობაძე ეკატერინე ივანეს ასული
19. ბადრიძე ოლღა მიხეილის ასული
20. ბადურაშვილი სოფიო ივანეს ასული
21. ბაზანდარაშვილი სოფიო გიორგის ასული
22. ბაინდურაშვილი ზაქარია ივანეს-ძე
23. ბაკუმენკო მარიამ ნიკოლოზის ასული
24. ბაკურაძე ამბროსი ვასილის-ძე
25. ბანეთაშვილი ვლადიმერ ალექსის-ძე
26. ბარამიძე დავით ილარიონის-ძე
27. ბარკალაია ნიფადორა კონსტანტინეს ასული
28. ბახტიარლი სამაი კაჯავ ყზი
29. ბახუტაშვილი მარიამ ვასილის ასული
30. ბერიძე გიორგი ილიას-ძე
31. ბერიშვილი მარიამ ნიკოლოზის ასული
32. ბეროზაშვილი მირიან ილიას-ძე
33. ბექაია მერი დომენტის ასული
34. ბექელაძე მერი არკადის ასული
35. ბითაროვი ბულათ ნიკოლოზის-ძე
36. ბლუაშვილი გრიგოლ ივლიანეს-ძე
37. ბუბაშვილი ერმის პეტრეს-ძე
38. ბუმაგინა დარია ანდრიას ასული
39. ბურდული ალექსანდრე მათეს-ძე
40. გაჩეჩილაძე ელენე სამსონის ასული
41. გეგეშიძე ჯუანშერ ვლადიმერის-ძე
42. გელდიაშვილი ნადეჟდა ვასილის ასული
43. გიორგობიანი ევგენი ტრიფონის-ძე
44. გოგილაშვილი არჩილ ზაქარიას-ძე
45. გოგოლაძე ნიკოლოზ დავითის-ძე
46. გოდაბრელიძე ანა ხამსონის ასული
47. გოდერძიშვილი ელენე იოსების ასული
48. გოძიაშვილი გიორგი ივანეს-ძე
49. გოხელაშვილი ბარბალე გიორგის ასული
50. გოჯიაშვილი ალექსანდრე დიმიტრის-ძე
51. გუგეშაშვილი ექვთიმე ალექსის-ძე
52. გუნია პარასკევა თეოფანეს ასული
53. გურგენიძე ნინო ნოეს ასული
54. გუსეინ ოღლი აბას
55. გუსეინოვი ილიას მუსტაფა ოღლი
56. დანელია ნადეჟდა თევდორეს ასული
57. დარსაძე ალექსანდრე იაკობის-ძე
58. დახუნდარიძე თამარ ივანეს ასული
59. დელბაშიშვილი მარიამ ანდრიას ასული
60. ეფხოშვილი აბრამ მიხეილის-ძე
61. ვაჩნაძე ალექსანდრე სიმონის-ძე
62. ვეკუა თამარ მიხეილის ასული
63. ზაალიშვილი ვასილ ივანეს-ძე
64. ზერაკიძე სერგი ილარიონის-ძე
65. ზაქარიაძე ნიკოლოზ სარდიონის-ძე
66. თაბაგარი მელიტონ გიორგის-ძე
67. თურქიაშვილი მართა ივანეს ასული
68. იორდანიანი აგაბეგ კირაკოსის-ძე
69. კაკაშვილი იოსებ ივანეს-ძე
70. კაკულია ვარლამ ვიქტორის-ძე
71. კარახმაზლი შამილ კახრამან ოღლი
72. კაჭარავა გივი ესტატეს-ძე
73. კახიანი ზინაიდა პეტრეს ასული
74. კერესელიძე თამაზ სერგის-ძე
75. კილასონია ხარიტონ ივანეს-ძე
76. კობაიძე არჩილ ანდრიას-ძე
77. კოტაშვილი შოთა ალექსანდრეს-ძე
78. კუცია ნინო მამანტის ასული
79. ლალიაშვილი ალექსი სოლომონის-ძე
80. ლაფერაძე დავით არსენის-ძე
81. ლეჟავა ვერა ვლადიმერის ასული
82. ლეჟავა ეთერ ამბროსის ასული
83. ლომთათიძე ვლადიმერ ილარიონის-ძე
84. ლომსაძე მანია აკოფის ასული
85. მალიძე გურგენ ვასილის-ძე
86. მაჭავარიანი ლილი გრიგოლის ასული
87. მელაძე ქეთევან ერასტის ასული
88. მელიქიძე მიხეილ დევანოზის-ძე
89. მინასიანი არჩილ ენუქის-ძე
90. მინაშვილი ევგენი ბესარიონის-ძე
91. მიქაბერიძე ნაზი შალვას ასული
92. მიხაილოვი დიმიტრი ვასილის-ძე
93. მოველიძე თამარ ივანეს ასული
94. მორბედაძე დიმიტრი დავითის-ძე
95. მჟავანაძე რაჟდენ ლუკას-ძე
96. მრელაშვილი არჩილ გიორგის-ძე
97. მღებრიშვილი გიორგი თომას-ძე
98. მჭედლიშვილი თამარ მიხეილის ასული
99. ნაზაროვი რობერტ გრიგოლის-ძე
100. ნემსაძე ნინო ალექსის ასული
101. ნიკოლაიშვილი მიხეილ ალექსის-ძე
102. ნიკოლეიშვილი რაჟდენ იოსების-ძე
103. ნინუა პარასკევა პროკოფის ასული
104. ნიქაბაძე მარგალიტა სევერიანის ასული
105. ნუგეშიძე პეტრე დავითის-ძე
106. ოდიშაშვილი ტერეზა გიორგის ასული
107. ონიანი ალექსანდრე ივანეს-ძე
108. ორჯონიკიძე ივანე სავლეს-ძე
109. პაპაშვილი გიორგი ესტატეს-ძე
110. პაპუაშვილი გიორგი სიმონის-ძე
111. პეტროსიანი ვახტანგ დავითის-ძე
112. პირველი ევგენია გრიგოლის ასული
113. ჟვანია კალისტრატე ნესტორის-ძე
114. რობიტაშვილი სპირიდონ ნიკოლოზის-ძე
115. როსტიაშვილი ნინო სიმონის ასული
116. რუსიშვილი გიორგი ნესტორის-ძე
117. სიდავა ელენე იოსების ასული
118. სიმონოვი მოსე ნიკოლოზის-ძე
119. სინაურიძე ლევან თადეოზის-ძე
120. სიროტოვი ივანე ანდრიას-ძე
121. სოსინი ივანე თევდორეს-ძე
122. სულაქველიძე ქსენია ბენიას ასული
123. ტოკლიკიშვილი ელისაბედ გიორგის ასული
124. ტოგონიძე აბიბო ისაიას-ძე
125. ტოგონიძე ერმილე თადეოზის-ძე
126. ტუაევი გაბრიელ ნასყიდას-ძე
127. ტუფჩია ვალენტინა ფილიპეს ასული
128. ტყაბლაძე ლეონიდე ლუკას-ძე
129. ტყემალაძე მიხეილ იოსების-ძე
130. უთმელიძე მარიამ ნიკოლოზის ასული
131. უხანოვი პეტრე დავითის-ძე
132. ფირცხალავა ივანე მიხეილის-ძე
133. ფიჩხაია ვალენტინა რაჟდენის ასული
134. ქართსანიძე იუსტინა ივანეს ასული
135. ქევანიშვილი ალექსანდრა თომას ასული
136. ქერქაძე თალიკო გიორგის ასული
137. ქოიავა ომარ კაპიტონის-ძე
138. ქრისტესაშვილი დიმიტრი საბას-ძე
139. ღამბაშიძე არჩილ დავითის-ძე
140. ღამბაშიძე ნათელა ოთარის ასული
141. ღოღობერიძე ნადეჟდა მელქისედეკის ასული
142. ყარაულაშვილი გრიგოლ ივანეს-ძე
143. ყაჭეიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე
144. ყიფიანი ბიძინა გიორგის-ძე
145. ყიფიანი გიორგი ქაიხოსროს-ძე
146. ყოჩიშვილი ეთერ დავითის ასული
147. შალიბაშვილი ეთერ აკაკის ასული
148. შანყულაშვილი ივანე ზაქარიას-ძე
149. შევარდნაძე ევგრაფი ამბროსის-ძე
150. შენგელია ციცუ ერმილეს ასული
151. შუშტაკაშვილი გიორგი ილიას-ძე
152. შუშტაკაშვილი შალვა ზაქარიას-ძე
153. ჩაჩანიძე სიმონ ალექსანდრეს-ძე
154. ჩიკაშუა ვალერიან შერმადინის-ძე
155. ჩიკვაიძე დავით ვლადიმერის-ძე
156. ჩიტიაშვილი დავით პეტრეს-ძე
157. ჩოხელი თამარ მიხეილის ასული
158. ჩხაიძე თამარ ისაკის ასული
159. ცაბაძე მარიამ ზაქარიას ასული
160. ცომაია ილარიონ დიმიტრის-ძე
161. ცხვედაძე კირილე ალექსის-ძე
162. ცხვირავაშვილი გერონტი რაჟდენის-ძე
163. წეველიძე თევდორე ივანეს-ძე
164. წულაია ოლღა იოსების ასული
165. წულუკიძე მერი ილიას ასული
166. ჭაბუკიანი ლუარსაბ ილარიონის-ძე
167. ხაჟომია გრიგოლ ისლამის-ძე
168. ხვედელიძე სულიკო ივლიანეს ასული
169. ხმელაძე ვასილ ანდრიას-ძე
170. ხოცანიანი ვაიკ ხაჩატურის-ძე
171. ხუხუნაიშვილი თამარ მათეს ასული
172. ჯანველოვი ეკატერინე მოსეს ასული
173. ჯიშკარიანი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**
ქ. თბილისი, 1953 წ. 29 ოქტომბერი.

# უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). [illegible]

ბენიკემ მოსთხოვა ისრაელს ამ სამუშაოთა განხორციელების შეჩერება, მაგრამ ისრაელის ხელისუფლებმა უარი თქვეს კომისიის თავმჯდომარის ამ წინადადების შესრულებაზე. სირიის წარმომადგენელი თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისრაელის მოქმედება საფრთხეს უქმნის მშვიდობას და რომ ამიტომ უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს „სასწრაფო გადაწყვეტილებანი" ამ საკითხზე.

საბჭოს სხდომაზე მიწვეულ იყვნენ სირიისა და ისრაელის წარმომადგენლები.

უშიშროების საბჭოს სხდომის დასაწყისში პაკისტანის წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც წინადადება ეძლევა ისრაელს „გასცეს განკარგულება, რომ იმ ორგანოებმა, რომელთაც 1953 წლის 2 სექტემბერს მუშაობა დაიწყეს დემილიტარიზებულ ზონაში, შეწყვიტონ მუშაობა აღნიშნულ ზონაში უშიშროების საბჭოს მიერ ამ საკითხის განხილვამდე".

ამ საკითხის შემდგომი განხილვის წესის შესახებ დისკუსიის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, ლიბანის, საბერძნეთისა და პაკისტანის წარმომადგენლებმა, უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სირიის დელეგაციის მიერ შეტანილი საკითხისა და პაკისტანის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის განხილვა განაგრძოს თავის 27 ოქტომბრის დილის სხდომაზე.

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). 27 ოქტომბერს დილით გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა იმ საკითხის განსახილველად, რომელიც დღის წესრიგშია შემდეგი სახელწოდებით: „პალესტინის საკითხი: დაზავების შესახებ საერთო შეთანხმებათა დაცვა და სავალდებულო შესრულება განსაკუთრებული მითითებით ძალადობის იმ აქტებზე, რომლებიც ამას წინათ მოხდა, და, კერძოდ, იმ ინციდენტზე, რომელიც კიბიაში მოხდა 14 და 15 ოქტომბერს. დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსის მოხსენება".

სხდომაზე მოხსენება გააკეთა დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსმა გენერალმა ბენიკემ.

[illegible]

შეტანილი საკითხის განხილვა.

საფრანგეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელის წარმომადგენლის განცხადების შემდეგ პაკისტანის რეზოლუციის პროექტი უსაგნოა. არ არის საჭირო, რომ საბჭომ წინადადება მისცეს ისრაელს შეაჩეროს სამუშაოები, თუ ისრაელის მთავრობა თვითონ მზად არის იკისროს სამუშაოების შეჩერება. საფრანგეთის წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭოს სასურველად მიაჩნია, რათა „დემილიტარიზებულ ზონაში 1953 წლის 2 სექტემბერს დაწყებული სამუშაოები შეჩერებულ იქნას ამ საკითხის უშიშროების საბჭოში განხილვის განმავლობაში, რაც დაუყოვნებლივ დაიწყება; კმაყოფილებით იღებს ცნობად ისრაელის დელეგატის განცხადებას 631-ე (ე. ი. დღევანდელ) სხდომაზე იმის შესახებ, რომ ისრაელის მთავრობამ იკისრა ვალდებულება შეაჩეროს სამუშაოები, რომლებზეც ლაპარაკია, საკითხის აღნიშნული განხილვის განმავლობაში; იმედი აქვს, რომ დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანოს შტაბის უფროსი მიაწვდის მას ცნობებს აღნიშნული ვალდებულების შესრულების შესახებ".

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაციას მისაღებად მიაჩნდა პაკისტანის რეზოლუციის პროექტიც. მაგრამ ისრაელის განცხადების შემდეგ სსრ კავშირის დელეგაცია ეთანხმება საფრანგეთის წინადადებას.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, პაკისტანის, საბერძნეთის, ლიბანისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატებმაც მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ დასვა საკითხი: სახელდობრ როდის არის გათვალისწინებული სამუშაოების შეჩერება. საფრანგეთის პროექტში, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, არ არის ზუსტად აღნიშნული, რა მომენტში მოხდება ეს.

ისრაელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამუშაოები შეჩერდება დაუყოვნებლივ. ამის შემდეგ საბჭომ ერთხმად მიიღო ზემოთ მოყვანილი რეზოლუცია.

# პანმინჯონის თათბირზე

პეკინი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პანმინჯონში გაიმართა პოლიტიკური კონფერენციის საკითხთა თათბირის მონაწილეების პირველი სხდომა. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა კი სუკ ბოკმა წარადგინა ორი მხარის თათბირის შემდეგი დღის წესრიგი: 1. პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობის საკითხი; 2. პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის ადგილისა და თარიღის საკითხი; 3. პოლიტიკური კონფერენციის მოწყობის პროცედურის საკითხი; 4. პოლიტიკური კონფერენციის ადმინისტრაციული დეტალების საკითხი; 5. პოლიტიკურ კონფერენციასთან დაკავშირებული ხარჯების საკითხი.

დარწმუნებული ვართ, თქვა კი სუკ ბოკმა, რომ ერთსულოვანი თანხმობა ყველა ამ საკითხზე იმ წესით, როგორც ისინი ჩამოთვლილია ზემოთ, მიღწეულ უნდა იქნას და შეიძლება მიღწეულ იქნას ორი მხარის გულწრფელი მოლაპარაკების გზით. ჩვენ მოვითხოვთ დამტკიცდეს ჩვენი წარმოდგენილი დღის წესრიგი და დაუყოვნებლივ დაიწყოს პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობის საკითხის განხილვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თათბირის ნორმალური მუშაობა და პოლიტიკური კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა არტურ დინმა. მან თქვა, რომ თათბირის მიზანია მოწესრიგებულ იქნას ადმინისტრაციული საკითხები, რომლებიც პოლიტიკურ კონფერენციას შეეხება. მან წინადადება შეიტანა, რომ პოლიტიკური კონფერენცია მოწვეულ იქნას 4 კვირის შემდეგ და კვლავ დაასახელა სამი პუნქტი პოლიტიკური კონფერენციის მოსაწვევად, როგორც ეს წინათ მოითხოვეს შეერთებულმა შტატებმა. დინმა წარადგინა ორი მხარის თათბირის შემდეგი დღის წესრიგი: 1. პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის ადგილი; 2. პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის თარიღი; 3. საპროცედურო და ადმინისტრაციული საკითხები, მათ შორის ხარჯების წილის განსაზღვრა; 4. სხვა საკითხები.

შემდეგ გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ხუან ხუა. მან განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება და მხარს უჭერს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის კი სუკ ბოკის განცხადებას და მის წინადადებას ორი მხარის თათბირის დღის წესრიგის შესახებ იმ საკითხებზე, რომლებიც პოლიტიკურ კონფერენციას ეხება. ხუან ხუამ დაადასტურა კორეისა და ჩინეთის მთავრობათა მტკიცე პოზიცია პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის საკითხში და აღნიშნა, იმისათვის რომ პოლიტიკურმა კონფერენციამ წარმატებით შეასრულოს თავისი დიდი ამოცანა, უწინარეს ყოვლისა ორივე მხარემ მოლაპარაკების გზით უნდა გადაჭრას კონფერენციის მონაწილეთა სწორი და გონივრული შემადგენლობის საკითხი. ამიტომ, თქვა მან, პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის საკითხის მოწესრიგება ორი მხარის ახლანდელი თათბირის მთავარი ამოცანა უნდა იყოს.

ხუან ხუამ აღნიშნა, რომ ორი მხარის თათბირის დღის წესრიგი, რომელიც კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენლებმა შეიტანეს, უკვე შეიცავს ოთხპუნქტიან დღის წესრიგს, რომელიც შეერთებული შტატების წარმომადგენელმა შეიტანა. ამიტომ ხუან ხუამ მოითხოვა, რომ ორივე მხარემ დაუყოვნებლივ მიიღოს კორეა-ჩინეთის მხარის მიერ წარდგენილი დღის წესრიგი.

# ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინელი ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით მონაწილეობს სახალხო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში. როგორც ჩინეთის პრესა იუწყება, ყველგან არჩევნები იმართება მშრომელი მასების უმაგალითო აღმავლობის, პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის პირობებში.

დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო" იუწყება, რომ ოქტომბრის დასაწყისში საარჩევნო კამპანია ხორციელდებოდა ცენტრალური დაქვემდებარების 19 პროვინციაში, 10 მუნიციპალურ ოლქში და შიდა მონღოლეთის ავტონომიურ რაიონში. ჩინეთის დანარჩენ რაიონებში ამჟამად გაცხოველებული მზადებაა არჩევნებისათვის.

გაზეთი წერს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში არჩევნები მიმდინარეობს 17.900-ზე მეტ სასოფლო და საქალაქო საარჩევნო ოლქში, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთის საარჩევნო ოლქების 60 პროცენტზე მეტს შეადგენენ. ამ რიცხვიდან 7.700 საარჩევნო ოლქში სექტემბრის დამლევს არჩევნები უკვე დამთავრებული იყო, ხოლო დანარჩენ ოლქებში მოხდა მოსახლეობის აღწერა და ამომრჩეველთა რეგისტრაცია.

სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში სექტემბრის დამლევს არჩევნები დამთავრდა პირველი რიგის რაიონებში. ოქტომბერში საარჩევნო კამპანია დაიწყო სიჩუანის, სიკანისა და გუიჯოუს პროვინციების მეორე რიგის რაიონებში.

წარმატებით მიმდინარეობს სახალხო წარმომადგენელთა არჩევნები ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის განსუს, ცინხაის, ნინსიასა და სინძიანის პროვინციებში.

ამჟამად აღმოსავლეთ ჩინეთში არჩევნები დამთავრებულია 2.400-ზე მეტ საარჩევნო ოლქში.

# დაზავების სამხედრო კომისიის კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე

პეკინი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა კესონიდან გადმოგვცა დაზავების სამხედრო კომისიის კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე.

ფაქტები ადასტურებენ, ნათქვამია კომუნიკეში, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლები ხოცავენ კორეელ და ჩინელ ტყვეებს ტონჯანის სამხედრო ტყვეთა ჰოსპიტალში ეგრეთწოდებული „მუშა პერსონალის" დახმარებით. ეს მუშა პერსონალი შედგება ჩანკაიშელი და ლისინმანელი აგენტებისაგან, რომლებიც შეგზავნილი არიან ავადმყოფ და დაჭრილ ტყვეებში.

ტყვე ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა ვან სიან-ჩანმა და ვან სიამა, რომლებიც რეპატრიირებული იყვნენ ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის მიერ, დაინახეს, რომ ჩანკაიშელთა ბანდის სპეციალურმა აგენტებმა, გამოიყენეს რა ყველაზე სასტიკი მეთოდები, მოკლეს ტყვე მოხალისე გვარად ჩანი, რომელმაც რეპატრიირება მოისურვა.

კორეა-ჩინეთის დელეგატმა — გენერალმა ლი სან ჩომ გუშინ ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის თავმჯდომარეს გენერალ-ლეიტენანტ ტიმაიას გაუგზავნა წერილი და მოითხოვა, რომ კომისიამ სასწრაფოდ და გულმოდგინედ გამოიკვლიოს ეს დანაშაული და სასტიკად დასაჯოს მკვლელობის ინიციატორები და მონაწილენი. გენერალ-ლეიტენანტმა ლი სან ჩომ განაცხადა, რომ კორეა-ჩინეთის მხარე მზად არის წარადგინოს მოწმეები, რათა ხელი შეუწყოს ბოროტმოქმედების ჩამდენთა აღმოჩენას.

# იტალიის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წარმატება ნაწილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში

რომი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). 25 ოქტომბერს ვერჩელსა და იტალიის სხვადასხვა ოლქის 35 სხვა თემში გაიმართა მუნიციპალური არჩევნები. როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, კომუნისტური და სოციალისტური პარტიების კანდიდატებს ხმა მისცა ბევრმა ახალმა ამომრჩეველმა არა მარტო 1946 და 1951 წლების მუნიციპალურ არჩევნებთან შედარებით, არამედ პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებთან შედარებითაც კი, რომელიც 7 ივნისს გაიმართა.

ვერჩელში კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა შეაგროვეს 13.315 ხმა — 294 ხმით მეტი, ვიდრე ამა წლის ივნისში. ბლოკმა, რომელსაც ქრისტიანი დემოკრატები მეთაურობენ და რომელშიც ლიბერალები, სოციალ-დემოკრატები და რესპუბლიკელები შედიან, მიიღო მხოლოდ 600 ხმის უმრავლესობა, რომლებიც შეიძინა მონარქისტებისა და ნეოფაშისტების დახმარებით.

კამპობასოს, მატერას, ლეჩესა და მესინის პროვინციების ბევრ თემში კომუნისტურმა პარტიამ ახალი ხმები შეიძინა. კოპერტინოში (ლეჩეს პროვინცია) კომუნისტების კანდიდატებმა მიიღეს 2.717 ხმა, მაშინ როცა 7 ივნისს კომპარტიის კანდიდატებს ხმა მისცა 1.736 ამომრჩეველმა.

ბევრ თემში პროგრესულმა პარტიებმა გამარჯვება მოიპოვეს ქრისტიან დემოკრატთა, სოციალ-დემოკრატთა, ლიბერალთა, მონარქისტთა და ნეოფაშისტთა მიერ შექმნილ ბლოკებზე.

# ინგლისის რეაქტიული თვითმფრინავის კატასტროფა

ლონდონი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გუშინ იპსვიჩში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ინგლისი) ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების რეაქტიული თვითმფრინავი დაეცა სახლებზე და აფეთქდა, დააზიანა რა 15 შენობა. ორი შენობა თითქმის მთლიანად დანგრეულია. რამდენიმე კაცი დაჭრილია. მფრინავი დაიღუპა.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

## პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ტუნისის საკითხზე ცამეტი არაბთა და აზიის ქვეყნის რეზოლუციის პროექტის განხილვა.

სამხრეთ-აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა, რომელიც პირველი გამოვიდა, განაცხადა, რომ იგი მხარს არ დაუჭერს ამ რეზოლუციას. ჰოლანდიის დელეგატმა განაცხადა, რომ 13 ქვეყნის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი თითქოს „მიუღებელია".

ხანმოკლე განხილვის შემდეგ კომიტეტი შეუდგა რეზოლუციის პროექტის კენჭისყრას. მიიღო რა პროექტის შესავალი ნაწილი, კომიტეტმა 32 ხმით 19 ხმის წინააღმდეგ (5 დელეგაციამ თავი შეიკავა) მოიწონა რეზოლუციის პროექტის რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ გადადგმულ იქნას „ყველა საჭირო ნაბიჯი ტუნისის ხალხის მიერ სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად".

მაგრამ კენჭისყრის შედეგად რეზოლუციიდან ამოღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ტუნისის საკითხის სამართლიანი გადაჭრა.

ამ არსგამოცლილმა რეზოლუციამაც კი კომიტეტში კენჭისყრისას მთლიანად მიიღო მხოლოდ 29 ხმა, წინააღმდეგ 22 ხმა, 5 დელეგაციამ თავი შეიკავა.

სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ რეზოლუციის ყველა განყოფილებას. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ხმა მისცა ყველა მისი განყოფილების, მათ შორის შესავალი ნაწილის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინდელ დღის სხდომაზე პოლიტიკურმა კომიტეტმა დაიწყო განხილვა საკითხისა ეგრეთწოდებული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების გამო ბრალდების მიუკერძოებლად გამოკვლევის" შესახებ. ეს საკითხი ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მოთხოვნით, რომელიც ცდილობს „მიუკერძოებელ გამოკვლევაზე" ლაპარაკით მსოფლიო საზოგადოებრიობა შეიყვანოს შეცდომაში.

პირველმა ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელმაც დაუსაბუთებლად უარყო ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტები. მთელი მისი სიტყვა სავსე იყო უხეში გამოხდომებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ ხელს უშლიდნენ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებს ობიექტურად და ყოველმხრივ განეხილათ კორეაში ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხი. სსრ კავშირის დელეგაცია, განაცხადა ი. ა. მალიკმა, თავიდანვე მტკიცედ მოითხოვდა, რომ ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული ყოფილიყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარყვეს ეს წინადადებანი. მათ გამოიყენეს ყველა საშუალება, რაც კი მოეპოვებოდათ, რათა არ დაეშვათ, რომ ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიეღოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს. ამერიკის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერი დელეგაციების მხრივ ასეთი მოქმედების შედეგად ეს საკითხი VII სესიის დღის წესრიგში ისე შეიტანეს, და მისი განხილვა ისე მოხდა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ე. ი. დაირღვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომელიც მოითხოვს, რომ ასეთ განხილვაში მონაწილეობა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატები თავს არიდებენ ამ საკითხის ობიექტურად და ყოველმხრივ განხილვას და ამავე დროს განაცხადეს პრეტენზია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ის პირნი, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა და მათმა მომხრეებმა დანიშნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა ამ პირებმა რაღაც „გამოკვლევა" მოახდინონ იქ.

ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ მფრინავების მიერ მიცემული ჩვენების ანალიზით და ამ ჩვენების იმ ჩვენებასთან შედარების საშუალებით, რომელიც ამერიკელმა მფრინავებმა კორეაში ტყვეობის დროს მისცეს, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ცხადყო მთელი უსაფუძვლობა იმ ცდისა, რომ გააბათილონ ტყვეების მიერ კორეაში მიცემული ჩვენება, და ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მიერ ომის წარმოების არაადამიანური მეთოდები.

ცდებს, რომ გააბათილონ ყოფილ ტყვე ამერიკელ ოფიცერთა ჩვენება, — თქვა მალიკმა, — მიმართავენ გარკვეული პოლიტიკური მიზნით: გაამართლონ ამერიკის სამხედრო სარდლობა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე, უარყოფენ რა ომის სასტიკ, არაადამიანურ მეთოდებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები სამი წლის განმავლობაში იყენებდნენ კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ულეტდნენ რა მშვიდობიან მოსახლეობას, ამასთან არ ინდობდნენ ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, ზღვიდან და ჰაერიდან ბარბაროსული დაბომბვით ანგრევდნენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს, მთლიანად სწვავდნენ მათ ნაპალმის ბომბებით. მაგრამ ვერავითარი ხრიკები, მათ შორის ვერც იმის პროპაგანდა, რომ „უარი თქვან" ტყვეობაში მიცემულ მამხილებელ ჩვენებაზე, ვერ ამოშლის კორეის, ჩინეთის, აზიის ყველა ქვეყნის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის მეხსიერებაში უცხოელი ინტერვენტების ამ არაადამიანურ ბარბაროსულ ომს მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

ამხილა რა სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის მტრულ გამოხდომათა ცილისმწამებლური ხასიათი, ი. ა. მალიკმა განაცხადა:

გენერალური ასამბლეის ამოცანა ის როდია, რომ განიხილოს ამერიკის ეს პროპაგანდა, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მიზნები აქვს. ამჟამად ასამბლეის ამოცანა ის არის, რომ სთხოვოს ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მოუწერიათ ხელი ან არ დაუმტკიცებიათ ჟენევის 1925 წლის ოქმი, რომელიც ითვალისწინებს ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვას, ხელი მოაწერონ ან დაამტკიცონ აღნიშნული ოქმი, რაც შეიძლება მოკლე ხანში.

ეჭვი არ არის, ამ ოქმმა თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში ამ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე. თვით უაღრესად აგრესიულ სახელმწიფოებსაც კი არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ უდიდესი საერთაშორისო-პოლიტიკური, უფლებრივი და მორალური მნიშვნელობისათვის, რომელსაც შეიცავს ომში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის ეს ოქმი. ჟენევის ოქმს ხელი მოაწერა ან მას შეუერთდა 48 სახელმწიფო, ე. ი. მსოფლიოს მეტი წილი სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოთაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ან შეუერთდნენ ოქმს, დიდმა უმრავლესობამ დაამტკიცა ეს ოქმი, გარდა უმნიშვნელო უმცირესობისა — ექვსი სახელმწიფოსი, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომელთაც დღემდე არ დაუმტკიცებიათ ეს ოქმი.

დასასრულ სსრ კავშირის წარმომადგენელმა შეიტანა შემდეგი რეზოლუციის პროექტი:

„გენერალური ასამბლეა

მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, რომელიც არ შეერთებია ჟენევის 1925 წლის 17 ივნისის ოქმს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ ან არ დაუმტკიცებია ეს ოქმი, შეუერთდეს მას და დაამტკიცოს იგი".

# მეჯლისის ყოფილი დეპუტატის მაკის ღია წერილი ირანის პრემიერ-მინისტრისადმი

თეირანი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „შაჰედმა" გამოაქვეყნა მეჯლისის ყოფილი დეპუტატის მაკის ღია წერილი ირანის პრემიერ-მინისტრ ზაჰედისადმი.

ამ წერილში მაკი აცხადებს, რომ იგი ვერ დაეთანხმება ახლანდელი მთავრობის პოლიტიკას, სანამ არ გამოირკვევა მისი (მთავრობის) პოზიცია ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის ირანელი ხალხის ეროვნული მოძრაობის მიმართ, ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებისა და იმ მასობრივ დაპატიმრებათა მიმართ, რასაც სამხედრო გუბერნატორი ახორციელებს.

ეხება რა პირველ საკითხს, მაკი წერს, რომ, როგორც იგი თავიდანვე იმედოვნებდა, ზაჰედი განახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის ირანელი ხალხის ეროვნული მოძრაობის განმტკიცება. მაგრამ, სამწუხაროდ, განაგრძობს იგი, პროპაგანდისა და ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო, რომელიც მთავრობის ოფიციალური ორგანოა და მთავრობის თვალსაზრისს გამოხატავს, სისტემატურად ესხმის თავს „ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის ირანელი ხალხის წმიდა მოძრაობის საფუძვლებს... მე უნდა ვთქვა, რომ ირანელი ხალხი ვერ დაეთანხმება ნაციონალიზაციის კანონისაგან ოდნავ გადახვევასაც კი".

მეორე საკითხზე მაკი წერს, რომ ირანელმა ხალხმა გადაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტოს ინგლისის მთავრობასთან, იმიტომ რომ ირანელი ხალხის ჩამორჩენილობისა და უბედურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, შეიძლება ითქვას ერთადერთი მიზეზია, ირანის ცხოვრებაზე ინგლისის ას ორმოცდაათი წლის განუსაზღვრელი გავლენა.

ახლა, განაგრძობს მაკი, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს განაახლოს დიპლომატიური ურთიერთობა ირანთან, ხოლო შემდეგ თავისი აგენტებისა და მარიონეტების დახმარებით უსამართლო ხელშეკრულება დადოს ირანთან. ასეთ პირობებში დადებულ ყოველ ხელშეკრულებას, ხაზგასმით აღნიშნავს მაკი, კიდევ უფრო ნაკლები ძალა ექნება, ვიდრე 1933 წლის ხელშეკრულებას.

შემდეგ მაკი წერს, რომ აქამდე მრავალი ირანელი დაპატიმრებულია სამხედრო წესების კანონის საფუძველზე და გამომწყვდეულია საპყრობილეებში და რომ იქ ეს ირანელები განსაკუთრებით ცუდ პირობებში იმყოფებიან, ხოლო ბევრი მათგანი მზის სინათლესაც კი ვერ ხედავს. ეს კანონი არავის არ აძლევს უფლებას გაუსწორდეს პირადი ანგარიში ან დააპატიმროს ყველანი, ვინც მთავრობას თავისი პოლიტიკის მოწინააღმდეგედ მიაჩნია. პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ამ საკითხში ახორციელებს, წერს მაკი, მთლიანად ეწინააღმდეგება ირანის ინტერესებს.

# მდგომარეობა ირანში

თეირანი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც იუწყებიან, 26 ოქტომბერს საღამოს ირანის სამხედრო ხელისუფლებმა დააპატიმრეს 36 კაცი, რომლებიც ავრცელებდნენ ფურცლებს და სახლების კედლებზე წერდნენ ლოზუნგებს.

როგორც გაზეთი „ყარ-ზარი" იუწყება, ბუშირის საპატიმროდან გაიქცა პოლიტიკურ პატიმართა დიდი ჯგუფი. ამასთან დაკავშირებით ბუშირის რაიონში სამხედრო წესები გამოცხადდა.

# ინგლის-ამერიკის სავაჭრო წინააღმდეგობანი

ლონდონი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). პარლამენტის წევრი ლეიბორისტი სუინგლერი გამოვიდა ბრაიტონში და მკაცრად გააკრიტიკა ჩრდილოეთ-ატლანტიკის ბლოკის საკონსულტაციო ჯგუფის ეგრეთწოდებული „თანამშრომლობის კომიტეტი" იმის გამო, რომ, კონტროლს უწევს რა სავაჭრო ურთიერთობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ეს კომიტეტი „თითქმის მუდამ ინგლისის საზიანო გადაწყვეტილებას იღებს". სუინგლერმა კომიტეტს უწოდა „თვითმარქვია ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი არ არის რომელიმე ქვეყნის პარლამენტის წინაშე".

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

# სავალდებულო გადაწყვეტილება

## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

1953 წ. 21 ოქტომბერი.

## საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა:

1. დაწესდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, რომელიც არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და გამოიხატება:

ა) მოქმედებით, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს (ხმაური, ყვირილი, ხმამაღლა სიმღერა და მუსიკალური ინსტრუმენტების დაკვრა 24 საათის შემდეგ) ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში;

ბ) თეატრებში, კლუბებში, კინოებში, ტრამვაიში, ავტობუსში, ტროლეიბუსში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში არაფხიზელ მდგომარეობაში შესვლით, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან არის დაკავშირებული;

გ) მოქალაქეთადმი უმიზეზო და აბეზარი ჩაციებით, სალანძღავი და უცენზურო სიტყვების წარმოთქმით, ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში ყოფაქცევის წესების სხვა დარღვევით, თუ ეს მოქმედება გათვალისწინებული არ არის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლით.

2. ამ სავალდებულო გადაწყვეტილების დარღვევაში დამნაშავეებს ადმინისტრაციული წესით დაედებათ ერთ-ერთი შემდეგი სასჯელი: გაფრთხილება, ჯარიმა 100 მანეთამდე, შრომა-გასწორების სამუშაოები ერთ თვემდე (მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციულ სასჯელთა დამდები კომისიის მეშვეობით) ან ჯარიმა დარღვევის ადგილას 15 მანეთამდე, რასაც დაადებენ მილიციის მუშაკები საჯარიმო ტალონის იქვე გაცემით.

3. ამ სავალდებულო გადაწყვეტილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება ეკისრებათ მილიციის ორგანოებს.

4. ეს სავალდებულო გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან და მოქმედებს გაუქმებამდე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მაღრაძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი შ. ბაქრაძე.


## ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 30 ოქტომბერს | დ. თორაძე — მშვიდობისათვის (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით). |
| 31 ოქტომბერს | ჯ. ვერდი — აიდა |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## თბილისის სახელმწიფო ცირკი

30, 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს

ჩინეთის და კორეის, საბჭოთა ცირკის მსახიობების გამოსათხოვარი გასტროლები

და დიდი საცირკო პროგრამა

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა. დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში.


საშა, მარო, ევგენია, დავით, ვარო, ლამარა, მერი ხუნდაძეები იუწყებიან ბიძაშვილის პლატონ დავითის-ძე ხუნდაძის გარდაცვალებას.

თამარ, ნინო, საშა, ვენერა, თინა, სერგი, სევერიან ქლენტები, ნოე მახარაძე იუწყებიან მულისა და მამიდის ასინეთ ყლენტი-თავართქილაძის გარდაცვალებას.

თბილისის კიროვის რაისაბჭოს საბინაო სამმართველოს სარემონტო კანტორის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ვერა ალექსანდრეს ასულ ყალიჩავას გარდაცვალებას.

შვილი გულნარა ხვიჩია-ლომინაძისა, სიძე ო. ლომინაძე იუწყებიან ივანე მიხეილის-ძე ხვიჩიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XI ვარციხეში (მაიაკოვსკის რ.).

ძმა ვ. გუნცაძე, რძალი ს. ხუსკივაძე შვილით ბიძინათი იუწყებიან შარინოზ ვლადიმერის ასულ გუნცაძე-ბაქრაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31-X, 8 ს. გამოსვენება 1-XI, 2 ს. პასტერის ქ. № 14.

ბებია სონა, ბიძები ჰიჰიკო, პავლე, შალვა, ზოთა ოჯახებით, დეიდა თამარ საყვარელიძეები, შალვა კიზირია ოჯახით იუწყებიან მარინე არქიფოს ასულ კანდელაკის გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31-X, 8 ს. გამოსვენება 1-XI, 2 ს. ბარნოვის I ჩიხი № 8.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან პლატონ დავითის-ძე ხუნდაძის გარდაცვალებას.

თამარ, დომნა, ვალერიან, რაისა, ეთერ, მედეა, გიორგი, მურმან ხუნდაძეები, გიორგი, თეიმურაზ, ზაზა ცერცვაძეები იუწყებიან ბიძაშვილის და ბიძის პლატონ დავითის-ძე ხუნდაძის გარდაცვალებას.

მშობლები იპოლიტე, ვერა, დები დიანა, მადონა, ბაბუა ფილიპე, ბიძები ალექსანდრე, კაპიტონ ოჯახებით, მამიდა ძაბული ქობალიები იუწყებიან კოტე იპოლიტეს-ძე ქობალიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XI კორცხელში (ზუგდიდის რაიონი).

ქალაქის I ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოსა და სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ნინო ვლადიმერის ასულ მახარაძის გარდაცვალებას.

შვილები დავით, ამირან, ფაცია თავართქილაძეები, რძალი ჩიტო ცქვიტინიძე, შვილიშვილი თამარ იუწყებიან ასინეთ კონსტანტინეს ასულ ყლენტი-თავართქილაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31-X, 7 ს. გამოსვენება 1-XI, 2 ს. რუსთაველის პროსპ. № 1.

ტრესტ საქნავთის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის და გეოლოგიურ-საძიებო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან მიხეილ გიორგის-ძე არჩვაძის გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა, ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 11171 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"